# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველდღიური გამოცემა.— სამშაბათი, 27 ივნისი 1900 წ. — № 1164

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|
| 10 მანეთი | 6 მან. | 4 მან. |

სამზღვარ გარეთ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)

**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|
| 6 მანეთი | 3 მ. 50 კ. | 2 მანეთი | 75 კაპ |

სამზღვარ გარეთ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## ახალი ამბავი

✦ 24 ივნისს კისლოვოდსკში მისულა მისი უმაღლესობა **ბუხარის ემირი** მირ-სეიდ-აბდულ-ახად ხანი.

✦ 24 ივნისს ბელი-კლიუჩში დაიწყო დღესასწაული **საქართველოს გრენადერთა პოლკის იუბილეისა.** დღესასწაულზე არიან: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა წარჩინებულნი, თავად-აზნაურობის დეპუტაცია და მრავალი საზოგადოება.

✦ დღეს სრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსებულ იქმნა ტფილისში **საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილება.

✦ გუშინ, 26 ივნისს, წავიდა კახეთში გრაფინია **ტატიშჩევი**, რომელმაც უნდა გადიღოს მონასტრებში ჩუქურთმები და წარწერები. ეს საქმე, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, მიანდო ბ. ტატიშჩევს ადგილობრივმა სასულიერო მმართველობამ. მონასტრების დათვალიერებას ბ. ტატიშჩევი დაიწყებს ქვაბთახევის მონასტრიდან.

✦ **სინოდისაგან** დამტკიცებულ სასულიერო სასწავლებლების ახალს პროგრამებში, რომელთ შესახებ ცნობა უკვე გვქონდა მოყვანილი ამ დღეებში, სავალდებულო სახელმძღვანელოდ მოსამზადებელ კლასებში ქართველთათვის დანიშნულია ორივე ნაწილი ჩვენის პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოსი“ მეთოდიკითურთ.

✦ **ტფილისის ასოთ-ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების** წესდების პროექტის განხილვა კომისიამ კვირას, 25 ივნისს, ვერ დაასრულა და მალე კიდევ მოახდენს სხდომას. დადგინდა ამასთანავე—შეედაროს წესდების პროექტი ბ. ენგალჩევის მიერ შემუშავებულ პროექტს სამარხი კასისას, გამოსარკვევად იმისა,—შეიძლება თუ არა შეერთება ორივ განზრახულ საზოგადოებათა?

✦ გუშინ „უსახელო საზოგადოების“ წარმომადგენელმა ბ. რობიმ წარუდგინა ტფილისის გამგეობას გეგმები და განცხადება შესახებ **წყნეთის გზაზე ცხენის რკინის გზის გაყვანისა.** ამ რიგად ოლგინის ქუჩიდან გაგრძელდება გზა ღრმა ღელემდე.

✦ გუშინდელ დღიდან დაიწყო **მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები** ტფილისის სააბრეშუმო სადგურის შენობაში.

✦ **ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში** გუშინ, 26 ივნისს, საჯაროდ გასასყიდად დანიშნული იყო 15 ტფილისის მამული და გუშინვე ყველანი გაიყიდნენ. ამ მამულებზე თავნი ვალი იყო 67,501 მან. 71 კაპ., ხოლო სარგებელი და სხვა გარდასახადი 2869 მან. 62 კაპ.

დღეს დანიშნულია გასასყიდად ქალაქ ქუთაისისა, ბათუმისა და სხვა ქალაქების მამულები.

✦ 23 ივნისს, ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდა **გაჭრობა** იმ მამულებისა, რომელთა პატრონთაც არ გარდაუხდიათ სავადო გარდასახადი თავის დაგირავებულ მამულებში. სულ გასასყიდად ჩარიცხული იყო 514 მამული, მაგრამ ვაჭრობის დღემდე ბევრმა შეიტანა გარდასახადი, ასე რომ გასასყიდი დარჩა 22 მამული; ამათგან გაიყიდა 20, დანარჩენ 2 მამულზე ვაჭრობა მოხდება ხელმეორედ 30 ივნისს.

✦ ტფილისის გუბერნიის **გარდასახადთა ინსპექტორების** საერთო **კრება** დარსულდა შაბათს, 24 ივნისს.

✦ თავის დროზე ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ დიდუბელებმა მიჰმართეს თხოვნით გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ მიაქციოს მეტი **ყურადღება დიდუბეს:** მოკირწყვლოს ქუჩები, გაამრავლოს წყლის მილის კრანები, გააკეთოს ტროტუარები, დააარსოს ცეცხლის მქრობელი რაზმი და სხვა. ტფილისის გუბერნატორს სამართლიანად უცვნია დიდუბელების თხოვნა და წარუგზავნია იგი ასასრულებლად ქალაქის გამგეობისათვის.

✦ რადგანაც დროებით რამდენიმე **საქალაქო ექიმმა** თავი დაანება სამსახურს და ქალაქიდან წავიდა, მოწვეულ იქმნენ, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, სხვა ექიმები. აი როგორ გაანაწილეს მათ შორის ქალაქის ნაწილები: 1-ლი, მე-2 და მე-5 ნაწილები ჩაებარა ექიმ-ქალს მუხარინსკისას, მე-3 და მე-4 ნაწილები და სავაჭრო მოედნები ექიმს გედალინს, მე-6 ნაწილი და ხარფუხის საქალაქო საავადმყოფოს გამგებლობა—ექიმს ტერ-ასატუროვს, 15 ივლისიდან კი ექიმს ერისთავს, მე-7-ე ნაწილი და ავლაბრის საავადმყოფოს გამგებლობა—ექიმს გძელიშვილს, მე-8, მე-9 და მე-10 ნაწილები—ექიმებს თარხანოვს, შავერდოვს და კასუმოვს; უკანასკნელმა აგრეთვე თვალყური უნდა დაიჭიროს კუკიის საავადმყოფოზე. სულით-ავადმყოფთა საქალაქო ქსენონის მმართველად დაინიშნა ექიმი კალინოვსკი. ამათ გარდა ავადმყოფ ქალთა სარჩენად მთელ ტფილისში მოწვეულია ექიმი-ქალი ისაკოვისა.

✦ **ოზურგეთის სამაზრო** ექიმად დაინიშნა თ. დ. კ. ერისთავი.

✦ 8 ივნისიდან 19-მდე ტფილისში 6 კაცი გამხდარა ავად

გადამდებ სენით: 2—წითელათი და 4—ხუნაგით.

✦ რადგანაც რუსეთის რკინის გზებზე უკანასკნელ წლებში მეტად გაძლიერდა საქონლის გადაზიდვა, გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია შეიძინოს დიდძალი ვაგონები და გაამრავლოს საქონლის მატარებლები ყველა გზებზე.

✦ მოგვივიდა რამდენიმე გამოცემა საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. № 1-ში დაბეჭდილია: 1) განყოფილების მოკლე მატიანე, 2) განყოფილების მოქმედების ანგარიში 1897, 1898 და 1899 წლებში; 3) მე-7 საერთაშორისო საგეოგრაფიო კონგრესის დადგენილებანი და სხვა. № 2-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია: 1) გეოდეზიური და ტოპოგრაფიული მუშაობა კავკასიაში 1898 წელს; 2) ა. ვ. პასტუხოვის ნეკროლოგი და სხვა. № 3-ში დაბეჭდილია სამეცნიერო ნარევი და ბიბლიოგრაფია. № 4-ში დაბეჭდილია გეოდეზიური და და ტოპოგრაფიული მუშაობა 1899 წელს, და სხვა. „განყოფილების მოამბეში" დაბეჭდილია: 1) „სახალხო იურიდიული ჩვეულებანი სომხებისა ამიერკავკასიის" ს. ვ. ზელინსკისა; 2) „შაორის აღწერა" ი. პანტიუხოვისა; 3) „მდ. დიდი ზელენჩუკი და აბიშისა-აბუხის მთა", ნ. დინნიკისა; 4) პროფ. დოკუჩაევის მოხსენება ამიერკავკასიის ნიადაგის შესახებ.

✦ მის უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულის გამგეობა აცხადებს «კავკაზ»-ში, რომ ბაკურიანში უკვე დაუყვიათ მამული ნაწილებად, და ვისაც ჰსურს სააგარაკო მოსახლეობა გაიჩინოს აქ, შეუძლია იჯარით აიღოს ნაწილები. ვაჭრობა დანიშნულია 20 ივლისსა და 1-ლ აგვისტოს.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივნისი

**პეტერბურგი.** 25 ივნისს საზღვარ გარეთიდან მოვიდა იაპონიის პრინცი კანინი. რკინის გზის სადგურიდან პრინცი დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძით წავიდა საზამთრო სასახლეში, სადაც მისთვის მომზადებულია ბინა.

**მოსკოვი.** 25 ივნისს იდღესასწაულეს 200 წლის იუბილეი როსტოვის და კიევის გრენადერთა და მოსკოვის ლეიბ-დრაგუნთა პოლკებმა.

**კიევი.** გადახდილ იქმნა 200 წლის იუბილეის დღესასწაული ტირასპოლის საქვეითო პოლკისა.

**ჟიტომირი.** 25 ივნისს აქ მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, რათა დაესწროს 200 წლის იუბილეის დღესასწაულს არხანგელგოროდის და კოსტრომის პოლკებისა.

**ტულა.** 200 წლის იუბილეის დღესასწაულობს პსკოვის ქვეითა პოლკი.

**ტიანცზინი.** 20 ივნისს მთელ დღეს ესროდნენ ზარბაზნებს ქალაქის იმ ნაწილს, რომელიც დასახლებულია ჩინელებით. უცხოელთა ჯარები ტიანცზინთან დაახლოვებით 10 ათასი კაცისაგან შესდგება. პეკინიდან არავითარი ახალი ცნობა არ მოსულა.

21 ივნისს ჩინელებმა აუტეხეს საშინელი სროლა უცხოელთა მოსახლეებს. სეიმურის განკარგულებით, ქალებსა და ბავშვების, პირველსავე შემთხვევასთანავე, წაიყვანენ ტაკუში.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრმა მიიღო პრეტორიიდან რობერტსისაგან დეპეშა, რომ სტატს-სეკრეტარმა რეიცმა გაანთავისუფლა 800 ინგლისელი ტყვე. ესენი ეხლა ლედი-სმიტისაკენ მიდიან, რათა ნატალით წავიდნენ სამშობლოში. მათ შორის ოფიცრები არ არიან.

**ბერლინი.** გერმანიის კონსული შანჰაიდან იტყობინება, შანდუნის გუბერნატორი იწერება, რომ პეკინში 20 ივნისს მეამბოხეთ თავი დაანებეს ორ გადარჩენილ საელჩოს, რადგანაც მათ ბევრი დაუხოცეს ევროპიელებმა, ასე რომ საელჩოებში დამწყვდეულთა მდგომარეობა აღარ არის ისე საშიში, როგორც წინედ, თუ მათ სანოვაგე არ შემოაკლდათ.

**ბრიუსელი.** შანჰაიდან მოსულ დეპეშის ცნობით, ერთს წარჩინებულს ჩინელს ამბავი მოსვლია, რომ ევროპიელი დიპლომატები პეკინში 19 ივნისს ისევ უვნებლად იყვნენ. ჩინეთის ჯარის ნაწილი, პრინცის ჩინის წინამძღოლობით, არ შეუერთდა „დიდ მუშტს" და, პირ იქით, ებრძოდა მეამბოხეთ. შანდუნის გუბერნატორი არ დაემორჩილა პრინც ტუანის ბრძანებას ნანკინის დაპყრობის შესახებ.

შანჰაის გაზეთები ირწმუნებიან, რომ პრინცი ჩინი წინაალუდგა პეკინში „დიდ მუშტს".

**ლონდონი.** შანჰაის კონსულის ოფიციალურ მოხსენებიდან სჩანს, რომ 24 ივნისს საელჩოები კიდევ უვნებლად იყვნენ. 19 ივნისს ჩინელებმა თავი დაანებეს საელჩოებს, ასე რომ ახლა მხოლოდ სანოვაგის უქონლობაა საშიში.

**შანჰაი.** ინგლისის კონსული ნანკინში იტყობინება, რომ შანდუნის გუბერნატორი იან შიკაი არა

## სამეცნიერო ცნობა

### ყვავილის აცრა და დ—რი ჯენნერი

### VIII *)

მცირე საჩუქარმა ძრიელ აალელვა ჯენნერის მოკეთეები. ინგლისის პარლამენტს სიძუნწეს უსაყვედურებდნენ. ამნაირი საქციელი ინგლისის ერის ღირსებას ამცირებს და ჩირქსა სცხებს მის პატიოსნებასაო, სწერდნენ ჯენნერის მომხრეები. 10,000 გირ. სტერლინგი რა მისი საკადრისია! ჯერ სულ მცირე რომ ვსთქვათ 200,000 გირვ. სტერლინგის 45,000 კაცი შესძენს ქვეყანას ყოველ წლივ თავის შრომით, რომელნიც ჯენნერმა სიკვდილს გადაარჩინაო; შემდეგ ხომ რამდენ სიმდიდრეს შესძენს კიდევ, ვინ იცისო! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯენნერი რომ სხვებსავით მარტო დოქტორობას დასჯერებოდა და 30 საუკეთესო წელიწადი ამ გამოგონებისათვის არ შეელია, მაშინაც კი, ცოტა რომ ხელმოკლედ ეცხოვრა, 10,000 გირვანქა სტერლინგს შეინახავდაო.

ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ოთხის წლის შემდეგ სახელმწიფო ხაზინადარმა ხელ-ახლა მიჰმართა პარლამენტს და სთხოვა მიენდოთ ექიმებისათვის იმის გამოკვლევა, თუ ამ უკანასკნელ ხანებში რა წარმატებაშია ჯენნერის მიერ გამოგონილი ახალნაირი აცრა და რა მიზეზები უშლიან მას ინგლისში გავრცელებას და თუ იგი ინგლისშიაც ისეთივე საკეთილოა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაშინ შეიტყონ: ღირსეულად დაჯილდოვებულია ჯენნერი, თუ არაო?

ეს განცხადება კოროლს მოახსენეს. კოროლმა თავის ექიმებს მიანდო ამ საქმის გამორკვევა.

მინდობილობა ჩაჰბარდათ და ხელ-ახლა შეუდგნენ გამოძიებას.

ახლა ჯენნერის მოშურნეებმაც იჩინეს თავი. ახლა მით მარჯვე დრო დაუდგათ და ისინიც ამით ყოველნაირად სცდილობდნენ როგორმე ჯენნერისათვის უსიამოვნება მიეყენებინათ და სახელი გაეტეხათ. მას პირდაპირ მეტიჩარას ეძახდნენ და გულ-საკლავად სამასხარადაც იგდებდნენ; მაგ., გამოსცეს საქვეყნოდ სამასხარო ნახატები, რომლებზედაც გამოხატული იყო კაცი, რომლისათვისაც ახლად აეცრათ ძროხის ყვავილი და რომელიც თან და თან ხარად იქცეოდა, ტანი ბალნით ჰქონდა შემოსილი, შუბლზე კი რქები ამოსდიოდა და სხვა...

მაგრამ ამისთანა საქციელმა ამაოდ ჩაუარა ჯენნერის მტრებს. გამოძიება მაინც დიდის სიფრთხილითა და მიუდგომლობით სწარმოებდა. ერთს წელში ყველაფერი გამოირკვა და აიხსნა, რომ ჯენნერის მიერ გამოგონებული აცრა მეტის-მეტად სასარგებლო და ყველგან გავრცელებულიაო.

ამისათვის 1807 წლის ივნისის 20-ს სახელმწიფო ხაზინადარმა კვლავ მისწერა პარლამენტს ჯენნერისათვის კიდევ მიეცათ 10,000 გირვანქა სტერლინგი. მაგრამ პარლამენტმა ერთი იმდენი კიდევ მიუმატა და ჯენნერს მისცეს 20,000 გირვ. სტერლინგი.

ამ საერო მადლობის გარდა, ჯენნერს სხვა და სხვა კერძო პირებისაგანაც მოსდიოდა მადლობისა და თანაგრძნობის საჩუქრები. მაგ., გლოჩესტერის საგრაფოს წარჩინებულმა საზოგადოებამ მიართვა ჯენნერს ძვირფასი, მშვენიერად ნაკეთები ვერცხლის სუფრის მოწყობილობა. ინდოელებმა კი ხელის მოწერით შეაგროვეს 7,383 გირვანქა სტერლინგი და ისე გამოუგზავნეს „უკვდავს ჯენნერს". სამეცნიერო საზოგადოებანი და მაღალი სასწავლებლები დოქტორობის მოწმობას უგზავნიდნენ. ჯენნერთან ზოგიერთ ხელმწიფეებსაც კი ჰქონდათ მიწერ-მოწერა და მათგან ხშირად მოსდიოდა საჩუქრები. ერთხელ საქმე იმნაირად მოეწყო, რომ თვითონ ამაყმა ნაპოლეონმაც კი პატივი სცა დაუვიწყარს ჯენნერს. აი საქმე როგორ იყო: პარიზის საპატიმროში დამწყვდეული იყვნენ რამოდენიმე ინგლისელი. ამ საქმის გამო აქეთ-იქით მართებლობას მოლაპარაკება ჰქონდათ ატეხილი, მაგრამ ნაპოლეონი მათ განთავისუფლებაზე ცივს უარს ამბობდა. ჯერ კი საქმე არ გათავებულიყო და მაშინ ჩაერია ჯენნერი და ითხოვა ტყვეების განთავისუფლება. ამაზე ნაპოლეონს მოახსენეს.

— ჯენნერმა! კარგი, იმას ხომ უარს ვერ ვეტყვით, გაანთავისუფლეთო,—ბრძანა მაშინვე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1159

ჩქარობს ნანკინზე გალაშქრებას. ნანკინის მმართველი ემზადება წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოელთ, თუ ისინი მოისურვებენ შესევას იანცეს პროვინციებში.

**ხოლმი ლიუბლინსკი.** 25 ივნისს, მე-65 მოსკოვის პოლკის 200 წლის იუბილეის დღესასწაულის დღეს, ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა ვაგონიდან და გაემგზავრა პოლკის სადგომისაკენ, სადაც მოედანზე პოლკი დამდგარიყო ბატალიონებად. პარაკლისის დაწყებამდე პოლკის უფროსმა წაიკითხა უმაღლესი გრამოტა, რომელიც პოლკს ებოძა იუბილეის გამო; შემდეგ კი პოლკის ძველი დროშები წაიღეს პოლკის სადგომში, ახალი კი, ხელმწიფის ნაბოძარი, პარაკლისის დროს ამართეს ეკკლესიაში; შემდეგ ახალი დროშა აკურთხეს, და ხელმწიფემ გადასცა იგი მუხლმოდრეკილ მედროშეს. ამის შემდეგ პოლკმა დაიფიცა ახალ დროშაზე. ბოლოს პოლკმა გაიარა იმპერატორის წინ და მიიღო მის უდიდებულესობისაგან მადლობა. ხელმწიფე შემდეგ მივიდა ჯარის კაცებისთვის გაშლილ სუფრასთან და ადღეგრძელა მოსკოვის პოლკი. პოლკის უფროსმა ადღეგრძელა პოლკის შეფი—ხელმწიფე; გაისმა აღტაცებული „ურა“. დღესასწაული დასრულდა ნადიმით ოფიცერთა საკრებულოში, რომელსაც დაესწრო ხელმწიფე. ხალხი აღტაცებით ეგებება საყვარელს მეფეს; ქალაქი გაჩირაღდნებულია.

**ჰონგკონგი.** კანტონში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს, და საქმეები ჩვეულებრივად იწარმოებიან. ჩინელები ერთხმად ამბობენ, რომ არავითარი უწესოება არ მოხდება, თუ ლი-ხუნ-ჩანგი კანტონში დარჩება. ამბობენ, რომ „დიდი მუშტი“ მტრულად უყურებს კანტონის მცხოვრებთ, რადგანაც მათის მეოხებით შევიდნენ ევროპიელები ჩრდილოეთ ჩინეთში.

**ლონდონი.** გაზეთებში დასტამბულია შანჰაიდან მოსული დეპეშა, რომლით იტყობინებიან, რომ ბრიტანიის ყველა ქვეშევრდომებმა ბრძანება მიიღეს დასტოვონ პროვინცია ცზეჩუანი.

**ჩიფუ.** მუკდენში მეამბოხეთ მოჰკლეს კათოლიკეთა ეპისკოპოზი, ორი მღვდელი და ორიც ავადმყოფთა მომვლელი ქალი.

22 ივნისს იტყობინებიან, რომ დანიის მისსიას ხონჩუნგში გარს შემოერტყნენ მეამბოხენი. მისია მათ გაუძლებს მხოლოდ ორ დღეს. კოზაკთა რაზმი, მრავალ უცხოელთა და ინგლისის კონსულთან ერთად, წავიდა მისიის განსათავისუფლებლად.

**შანჰაი.** იტყობინებიან, რომ შანდუნის გუბერნატორმა მიიღო ბრძანება პრინც ტუანისაგან—წასულიყო ნანკინზე 15 ათასი გამოცდილი მეომარით, მაგრამ ბრძანება აუსრულებელი დარჩა.

რკინის გზების დირექტორი, რომელიც უცხოელთ წინააღმდეგობას უჩენდა, წავიდა.

ნანკინი უვნებლად დარჩება, თუ მისი მმართველი წინააღუდგება ქალაქზე მოსულ მეამბოხეთ; მას მდ. იანცეზე ჰყავს 15 სამხედრო გემი. ყოველივე დამოკიდებულია ნანკინის მმართველისაგან. ამას წინად შანჰაის არსენალიდან მოვიდა ბევრი სანაღმო ყუმბარა, მაგრამ მმართველის განკარგულებით, ისინი უხმარებლად დასტოვეს.

**შანჰაი.** ბრიტანიის ყველა ქვეშევრდომთ მიიღეს ბრძანება დასტოვონ სიჩუანი.

**ბერლინი.** იმპერატორმა მიიღო ცზინტაუდან შემდეგი დეპეშა: „მიიღო რა თქვენი უდიდებულესობის დეპეშა, შანდუნის გუბერნატორმა პასუხი შემოთვალა: „მე დიდი ხანია ჯავრი მაქვს იმ ევროპიელთა, რომელნიც პეკინში არიან; არა ერთხელ გავგზავნე მზვერავი მისაშველებლად, მაგრამ ამაოდ. ეხლა ყველა გზები პეკინისაკენ უჭირავთ მეამბოხეთ, ამისათვის საეჭვოა, რომ შეეძლებოდეს როგორმე მათი შველა; ამის და მიუხედავად, მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარ მათ მისაშველებლად.

გერმანიის ესკადრის უფროსი დეპეშით იტყობინება ტაკუდან 24 ივნისს, რომ წინა დღით მან გაგზავნა ესკადრის ერთი გემით ტიანცზინიდან მოსული გერმანიელი და ბელგიელი გამოქცეულნი: 16 ქალი 9 ბავშვი და 19 მამაკაცი. როგორც იტყობინებიან 19 ივნისს ყველა დაჭრილები კარგად არიან, ტიანცზინში ზღვით მისვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**ფოლკსარუიტი.** გენ. ბრაბანტმა დაიჭირა დორნბერგი, სენეკალის და ვენბურგის შუა.

**პეტერბურგი.** 25 ივნისს იდღესასწაულა ორასი წლის იუბილეი მე-85 ვიბორგის ქვეითა პოლკმა.

**პეტერბურგის ბირჟა 23 ივნისს**

| | მყიდვე-ლები. | გამყიდ-ველები | გაყიდუ-ლები. |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 98 | — | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 295 | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 255 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 195 |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | 80 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | 86½ |
| ქუთ. საადგ. - მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 100 | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98 | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. 10 კ.
სუკი . . . . . › — 15 კ.
› ცხვრისა . . . › — 8½ კ.
› ღორისა . . . 1 — 8 კ.
› კამეჩისა › › › — 8 კ.
› ღორის ბარკალი სალორეთი . 1 › —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
ბურთი ფქვილისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
› › II › › › 3½ ›
› › III › › › 3 ›
იგივე თონისა I › › › 5 ›
› › II › › › 4 ›
› › III › › › 3½ ›
ლავაში ჯკ. მამ. I › › › 6 ›
› › II › › › 4 ›

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზალზე, | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საჯ. | ფუთი. | მ. კ. | მ. კ., | |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . | 1 | 1 1 | — 5 | — |
| სიმინდი . . . . | 1 | — 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| › უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 50 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 80 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — 10 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შუშა რეხილისა 1 სრული საჯ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 25 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 › 25 › | |
| № 1—8 › 50 › | | № 5—7 › — › | |
| № 2—8 › — › | | № 6—6 › 75 › | |
| № 3—7 › 50 › | | № 7—6 › 25 › | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მარქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ჩუღურეთისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულბენიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეშჩანსკი ნაწილი, სახლი მელიქჯანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.

# განცხადებანი


**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი აყმაწვილო სურათებიანი წიგნი **ანდერსენისა:**

## დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ

გამოცემა

**ხარინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი. | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюня 1900 г.   სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.